4503-15-15-2-202004300853

N 15-15/4503
30/04/2020

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ[redacted] N3 პენიტენციური დაწესებულებიდან მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N3 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის [redacted] განცხადება. შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებით შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას.

ფაქტობრივი გარემოებები

2020 წლის 20 თებერვალს, სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრისას, მსჯავრდებულმა [redacted] განმარტა, რომ მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების მუდმივი საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს ქალაქ თბილისში, თვითონ კი, 2018 წლის 3 ოქტომბრის შემდეგ, განთავსებულია მათი საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.

მსჯავრდებულის გადმოცემით, 2018 წლის 3 ოქტომბერს, მისთვის უცნობი მიზეზის გამო, სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, N6 პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანეს N3 დაწესებულებაში. ამასთანავე, აღნიშნა, რომ მისი ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები,

ჯანმრთელობისა და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ვერ ახერხებენ ქალაქ ბათუმში ჩამოსვლას მასთან შეხვედრის მიზნით. შესაბამისად, მსჯავრდებული უთითებდა, რომ ეზღუდება პატიმრობის კოდექსით მისთვის მინიჭებული ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა.

[redacted] განმარტებით, ამ პერიოდში არაერთხელ მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს, აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე შესაბამისი რისკის დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნით, თუმცა მის მოთხოვნას პენიტენციური დეპარტამენტის მხრიდან საპასუხო რეაგირება არ მოჰყოლია.

მსჯავრდებულ [redacted] N3 პენიტენციური დაწესებულების გადმოყვანის სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით, აპარატმა 2020 წლის 24 თებერვლის N15-15/2157 და 10 მარტის N15-15/2757 წერილებით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს. გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებული [redacted] 2018 წლის 3 ოქტომბერს გადაიყვანეს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე და სწორედ ამავე მიზნით არ იგეგმება მისი გადაყვანა N6 ან N7 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში.[1]

მსჯავრდებულ [redacted] N3 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა 2020 წლის 24 თებერვლის N15-15/2174 და N15-15/2175 წერილებით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 და N6 დაწესებულებებსაც.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულის პირად საქმეში განთავსებული პატიმრის ანკეტის მიხედვით, მისი დედისა და და-ძმის საცხოვრებელი ადგილია ქალაქი თბილისი; [redacted] მსჯავრდებულის რისკის შეფასების მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით განსაზღვრული აქვს საშიშროების მაღალი რისკი; N3 პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლდა N6 დაწესებულებიდან 2018 წლის 3 ოქტომბერს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2018 წლის 2 ოქტომბრის N14935 ბრძანების საფუძველზე.[2]

საყურადღებოა, რომ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში [redacted] ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანის უფლებებით არ უსარგებლია,[3] ხოლო N6 დაწესებულების განმარტებით,[4] N6 დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულმა ხანგრძლივი პაემნის უფლებით ისარგებლა ოთხჯერ,[5] ხოლო, ხანმოკლე პაემანის უფლებით - 41-ჯერ[6].

სამართლებრივი დასაბუთება

---

[1] პენიტენციური დეპარტამენტის 2020 წლის 9 მარტის N68804/01 და 16 მარტის N76221/01 პასუხები.
[2] N3 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 28 თებერვლის N59961/21 პასუხი.
[3] N3 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 28 თებერვლის N59961/21 პასუხი.
[4] N6 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 28 თებერვლის N60743/23 პასუხი.
[5] 29.09.2015; 31.07.2017; 12.02.2018; 4.09.2018 თარიღებში.
[6] 9.01.2015; 6.02.2015; 13.03.2015; 14.04.2015; 15.05.2015; 26.06.2015; 17.07.2015; 14.08.2018; 14.09.2015; 12.10.2015; 12.11.2015; 11.01.2016; 22.02.2016; 18.04.2016; 19.05.2016; 20.07.2016; 22.08.2016; 22.09.2016; 24.10.2016; 29.11.2016; 29.12.2016; 3.02.2017; 2.03.2017; 11.04.2017; 17.05.2017; 16.06.2017; 14.07.2017; 15.08.2017; 15.09.2017; 12.10.2017; 14.11.2017; 12.12.2017; 12.01.2018; 19.02.2018; 12.03.2018; 13.04.2018; 17.05.2018; 12.06.2018; 12.07.2018; 13.08.2018; 12.09.2018 თარიღებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, **თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი.**[7]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის[8] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, ერთ წელზე მეტი ხნით ოჯახის და ახლო ნათესავების საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ, ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად, არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემანის უფლებას.[9] სასამართლოს შეფასებით, **ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში.**[10]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.[11] ამასთან, ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[12]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ" ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[13] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ,

---

[7] იხ. ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, N28403/05, პარ. 78.

[8] გათვალისწინებული იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

[9] იხ. ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, 11082/06, 13772/05, 25.07.2013.

[10] მესინა იტალიის წინააღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.

[11] ევროპული ციხის წესები - პუნქტ. 17.1.

[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[13] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი N106.

თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.[14]

აღსანიშნავია, რომ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც მსჯავრდებულის რისკის შეფასების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული აქვს საშიშროების მაღალი რისკი და სასჯელი უნდა მოიხადონ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში, შესაძლებელია ასევე განთავსდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე N6[15] ან N7[16] პენიტენციურ დაწესებულებებში.

ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, N6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 309 ბრალდებული/მსჯავრდებული. ხოლო „ე" ქვეპუნქტის თანახმად - N7 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 29 ბრალდებული/მსჯავრდებული.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის N7 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მსჯავრდებულთა მოთხოვნით და ოპერატიული ვითარებიდან გამომდინარე, რიგი მსჯავრდებულები თავსდებიან სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით, მარტო საკანში. შესაბამისად, ამ ეტაპზე დაზუსტება იმისა, თუ რამდენი მსჯავრდებულის მიღება შეუძლია დაწესებულებას შეუძლებელია.[17]

ხოლო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტი მნიშვნელოვნად აღემატება ამავე დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა იმ საერთო რაოდენობას[18], რაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულების მიერ (დადგენილი ლიმიტია - 309 პატიმარი, მოთავსებული იყო - 186 პატიმარი)[19], მსჯავრდებულ [redacted] N6 დაწესებულებაში გადაყვანა გამორიცხავს გადატვირთულობის პრობლემის წარმოქმნას.

რაც შეეხება პენიტენციური დეპარტამენტის მიერ დასახელებულ უსაფრთხოების მიზანს[20], აღსანიშნავია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N6 დაწესებულება, ისევე როგორც N3 დაწესებულება, „არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რომელშიც მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები და უზრუნველყოფილია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მუდმივი

---

[14] იქვე, წესი 59.

[15] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[16] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N107 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N7 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[17] N7 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 30 მარტის N87890/24 პასუხი.

[18] 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით.

[19] N6 პენიტენციური დაწესებულების 2020 წლის 31 მარტის N88941/23 პასუხი.

[20] პენიტენციური დეპარტამენტის 2020 წლის 16 მარტის N76221/01 პასუხი.

მეთვალყურეობა."[21] შესაბამისად, სწორედ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია [redacted] N6 დაწესებულებაშიც განთავსდეს ერთადგილიან საკანში[22] და იმყოფებოდეს მუდმივი ელექტრონული მეთვალყურეობის რეჟიმში.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, მსჯავრდებულის ოჯახის წევრების ან ახლოს ნათესავების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [redacted] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, გადაიყვანოთ შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც კი ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ამ ეტაპზე პატიმრებისთვის დადგენილი პაემნების დროებითი შეზღუდვა მოიხსნება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები აცნობოთ სახალხო დამცველს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

[21] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[22] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.